პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის

განხორციელების ვადა: 01.03.2021 - 01.09.2024

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 142 971

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ები):
Foundation Of Centre For Strategic Research And Development Of Georgia, Foundation of Centre for Strategic Research and Development of Georgia

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/CSRDG, instagram.com/csrdg1995/, youtube.com/channel/UCQbH-tTQidEO4_OcikDnIsw,

პროექტის ვებსაიტები: csrdg.ge/

პროექტის აღწერა:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) ევროკავშირისა და “პური მსოფლიოსთვის” მხარდაჭერით, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს პროექტს „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“.

პროექტი სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით, საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მოგვარებისა და ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვის უნიკალური შესაძლებლობაა. გარდა ამისა, სოციალური მეწარმეობის განვითარებული ეკოსისტემა ხელს შეუწყობს სოციალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და მდგრადობას, მოწყვლადი რეგიონების განვითარებას, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ტრადიციული კულტურის შენარჩუნებას, გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებასა და სხვ.

პროექტი მრავალკომპონენტიანია და მოიცავს როგორც ადვოკატირებასა და პოლიტიკური დიალოგის წარმოებას, ისე ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს, სოციალური საწარმოების ფინანსურ, ტექნიკურ, საკონსულტაციო მხარდაჭერას; მათთვის სხვადასხვა სახის ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებას, ახალგაზრდების ინფორმირებასა და სხვ.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესდება სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სამართლებრივი გარემო
- სოციალური მეწარმეობის კონცეფცია მხარდაჭერილი იქნება სხვადასხვა სექტორისა და ფართო საზოგადოების მიერ
- პოლიტიკურ დიალოგში ჩაერთვება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება
- კახეთსა და გურიაში, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, შეიქმნება და ამოქმედდება საპილოტე მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალური მეწარმეობის განვითარებას რეგიონალურ დონეზე
- სოციალურ საწარმოებს ექნებათ გაუმჯობესებული წვდომა ფინანსებზე